



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №64

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი

28 ივნისი, 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი **დანართი 1-ის** შესაბამისად და სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი განრიგით: *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებით)*

ა) 2018 - 2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაიწყოს 2018 წლის 1 ოქტომბერს და დასრულდეს 2019 წლის 2 თებერვალს (სასწავლო პროცესი შეჩერდეს 11 იანვრიდან 19 იანვრის ჩათვლით)

ბ) 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2018 წლის 1 ოქტომბრამდე;

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2018 წლის 29 დეკემბრიდან 2019 წლის 7 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 4 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით;

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით;

ვ) 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2019 წლის 4 მარტამდე;

ზ) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობა დაიწყოს 2019 წლის 4 მარტს და დასრულდეს 22 ივნისს;

თ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 24 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით;

ი) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 15 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით;

კ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2019 წლის 22 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით;

ლ) 2018-2019 სასწავლო წელს სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება);

მ) სააუდიტორიო მეცადინეობების ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

1¹. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის (უცხოელების ე.წ. მე-7 ნაკადის) 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (სასწავლო პროცესის ვადები) განისაზღვროს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N113 დადგენილებით)*

1². ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (სასწავლო პროცესის ვადები) განისაზღვროს შემდეგნაირად: *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N113 დადგენილებით) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 მარტის N06-01/27 დადგენილებით)*

ა) 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2019 წლის 01 მარტს;

ბ) საშობაო არდადეგები 2018 წლის 29 დეკემბრიდან 2019 წლის 7 იანვრის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 04 მარტიდან 2019 წლის 23 მარტის ჩათვლით;

დ) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 25 მარტიდან 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით;

ე) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2019 წლის 01 აპრილს და დამთავრდეს 2019 წლის 27 ივლისს;

ვ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 29 ივლისიდან 2019 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით;

ზ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 24 ივლისიდან 2019 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის N06-01/74 დადგენილებით)*

1³. ბსუ-ს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან. სასწავლო პროცესის სხვა ვადების შესახებ სამართლებრივი აქტები, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცეს ბსუ-ს რექტორმა. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N113 დადგენილებით)*

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში